

რეკვა ფარმაცეუტიკის - გოგრის აბრეშქოლოგია

გვარი Cucurbita აერთიანებს რამდენიმე სახეობის გოგრას, აქედან მთელ მსოფლიოში უპირატესად გავრცელებულია გოგრის სამი სახეობა: მაგარკანიანი (C. pepo L.), დიდნაყოფა (C. maxima Duch.) და მუსკატური (C. moschata Duch).



მაგარკანიანი ანუ ხოკერა გოგრა წარმოშობილია ცენტრალური ამერიკის მთიან რაიონებში. მას გოგრის სხვა სახეობებთან შედარებით ჩვენში ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს და მრავალგვარობით არის წარმოდგენილი. მის მრავალფეროვნებას განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში აქვს ადგილი, სადაც ეს სახეობა სხვადასხვა სახელით არის ცნობილი: „ხოკერა-კვახი“ (იმერეთი), „ხავერა“ (გურია), „ხოპეშია“ (სამეგრელო), საღორე კვახი (რაჭა), „კვახნეს“ (სვანეთი).

მაგარ კანიანი გოგრას ეკუთვნის აგრეთვე ყაბაყი, პატისონი და კრუკნევი, ჩვეულებრივი გოგრისაგან განსხვავებით მათ ნაყოფებს ტექნიკურ სინთეზში იყენებენ საჭმელად.

დიდნაყოფა გოგრა სამხრეთ ამერიკის სტეპიან რაიონებში წარმოშობილი მცენარეა, საიდანაც გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, აზიაში და აფრიკაში. ის ყველა ბალჩულზე უფრო მრავალფეროვანი და პლასტიკურია, მისი გავრცელების არეალში შედის ფინეთი და შვედეთი. ქართლ-კახეთში მას თათრულ გოგრას უწოდებენ, იმერეთში, რაჭაში და ლეჩხუმში თათრულ კვახს, გურიაში ხაჰს, სამეგრელოში კოპეშიას.

მუსკატური გოგრა ცნობილია თავლა-გოგრის, ხურჯინა გოგრის და ბორჩალური გოგრის სახელწოდებით.

საჭმელად იყენებენ გოგრის მწვანე ნაყოფებს. მისგან ამზადებენ შემწვარ და მოხარშულ კერძებს, ფაფებს, ხილფაფას, მურაბას, ჯემს, მარინადებს, პიურეს, წვენს. ჩვენში ზოგან გოგრის ჭყინტ ნაყოფს მთლიანად, გაუნყვებელ თხელ ფენებად ჭრიან და ისე ამობენ, რასაც კვახინელას უწოდებენ. გოგრის თესლს ნამცხვრებისა და ჩურჩხელის დასამზადებლად იყენებენ, მოხალულს კი მწესუმწირასავით შექცევიან. გოგრის თესლი დიდი რაოდენობით შეიცავს ციბიმს (58 %-მდე), აგრეთვე საანტიბიოტიკ, რომელიც პარაზიტი ჭიების საწინააღმდეგოდ საუკეთესო საშუალებაა.

გოგრის მნივე ნაყოფი 92-94 % წყალს შეიცავს. დარჩენილი მშრალი ნივთიერება შემდგენიარად ნაწილდება: შაქრები 2-6 %, ამოტვანი ნივთიერებები 0,3-1,0 %, მჟავები 0,05-0,8 %, ნაცარი 0,4-0,8 %.

გოგრა მდიდარია ვიტამინებით, განსაკუთრებით კაროტინით (16-17-დან 38 მგ%), აგრეთვე ვიტამინებით C, B1, B2, E. იგი ძვირფასი დიეტური და სამკურნალო პროდუქტია. რეკომენდებულია ავადმყოფებისთვის, რომლებსაც აწუხებთ თირკმელები, კუჭი და სისხლძარღვები.

ბიოლოგიური თავისებურება

გოგრა ერთწლოვანი მხოლოვანი ან მხვიარა, გაყოფილ სქესიანი, ერთსახლიანი, ჯვარედინმეტვერია მცენარეა. თესლი სახეობის მიხედვით განსხვავებულია, ბრტყელია, ოვალური ფორმის, დიდი ზომის; კანი სქელი ან უკანო, მცირედ ან მკვეთრად გამოხატული არებით ან საერთოდ მის გარეშე. თესლი შეიძლება იყოს თეთრი, მოყვითალო-თეთრი,



მიხაკისებური-თეთრი, მორუხო-თეთრი. აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 6-8 წელი.

აქვს მძლავრი ფესვთა სისტემა, რომელიც შედგება ნიდაგში 1-1,7 მ ჩაღრმავებულ მთავარღერძს ფესვისა და გვერდით, დამატებითი ფესვებისაგან. მათი ძირითადი ნაწილი განლაგებულია 40-50 სმ სიღრმეზე, ცალკეულ ფესვებს კი შეუძლიათ გავრცელებენ 4-5 მ სიღრმეზე. პორიზონტალური გვერდითი ფესვები ღეროდან 4-5 მ რადიუსით ვრცელდება. ერთი მცენარის ფესვების საერთო სიგრძე 25კმ-ს აღწევს, ზოგჯერ მცენარის ფესვთა სისტემა 12მ² მოცულობის მიწას იკავებს.

ღერო გრძელი 4-5მ და უფრო მეტ სიგრძეს აღწევს, რომლისგანაც იწყება პირველი, მეორე და მომდევნო რიგის მასა უმთავრესად 4-10 კვ-ია, მაგრამ ცალკეული ნაყოფები 100 კვ-ს აღწევს (დიდნაყოფა გოგრა). გოგრის ფორმა და ფერი მეტად მრავალფეროვანია. ნაყოფის ფორმა შეიძლება იყოს მრგვალი, მობრტყო, ცილინდრული, ელიფსური, კვერცხისებური, ჩალმისებური, სურჯინისებური, თევზისებური და სხვ. ნაყოფის ზედაპირი სადა ან დაკუთხული, დასეგმენტებული, ვარაყიანი ან უვარაყო, მუჭკაჩიანი და სხვ. ფერის მიხედვით: ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, თეთრი, რუხი, მიხაკისფერი და ა.შ. გოგრა სითბოს და ტენის მოყვარული მცენარეა. მისი თესლი

გალივებს იწყებს 13-14 OC-ზე, მაგრამ აღმოცენებისათვის საუფესო ტემპერატურაა 20-25°C. სითბოსადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა სიცოცხლის დასაწყისში, -1°C-ზე მცენარე იღუპება. ზრდისათვის აუცილებელია 12-15°C-ზე მაღალი ტემპერატურა. ნაყოფების ფორმირებისას კი ოპტიმალური ტემპერატურა 25-27°C-ის ფარგლებშია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნესტთან და საზამთროსთან შედარებით გოგრა სითბოს უფრო ნაკლებად მომთხოვნია. ტენისა და ნიადაგის ნივთიერების მიმართ კი პირიქით, მათზე მეტად მომთხოვნია.

გოგრა ნიადაგისა და ჰაერის ტენიანობის მომთხოვნი მცენარეა. ნიადაგში ტენის ნაკლებობისას ნაყოფი გამოდის წვრილი და მიიღება მცირე მოსავალი. ტენის სიჭარბე კი ხელს უწყობს მცენარის სოკოვანი დაავადებებით დაზიანებას. მიუხედავად წყლისადმი დიდი მოთხოვნილებისა და შესაბამისად წყლის ხარჯისა, ღრმა, ტენტევადა და ნაყოფიერ ნიადაგებზე, მძლავრი ფესვთა სისტემის მეშვეობით, გოგრას შეუძლია მორწყვის გარეშე მაღალი მოსავლის მოცემა.

გოგრა სინათლის მოყვარული მცენარეა და კარგად ხარობს გაზოგილ, დაურჩილივ, ქარებისგან დაცულ ადგილებში.

გოგრა მოითხოვს ღრმად დამუშავებულ და კარგად განოყიერებულ ნიადაგს. შემოდგომაზე ძირითადი მოხვნის დროს ჰა-ზე შეაქვთ 60-80ტ ნაკელი და კომპოსტი. გაზაფხულზე ნიადაგის დამუშავებისას ჰა-ზე შეაქვთ 250 კგ სუპერფოსფატი, 200 კგ კალიუმის ქლორიდი. დათესვამდე ნაკვეთს ინარჩუნებენ სარეველებისგან სუფთა და ფხვიერ მდგომარეობაში, რისთვისაც ნიადაგს 2-3-ჯერ აფხვიერებენ ფარცხით ან თოხით.

დათესვამდე ნაკვეთს ამარკვრებენ, იღებენ 10-12 სმ სიღრმის ბუნებს, რომლებსაც სახეობისა და ჯიშების მიხედვით ერთმანეთისაგან სხვადასხვა მანძილებზე ამორებენ. ყოველ ბუნებაში 0,4-0,5 კგ ნემოშალას ან კომპოსტს ათავსებენ.

მოვლა გამოიხატება რიგთაშორისების რეგულარულ გაფხვიერებაში, ვიდრე ბარდი მთლიანად არ შეავსებს რიგებს.

ნათესების ამჩხვრებენ ლებან, ან პირველი ნამდვილი ფოთლის წარმოქმნის ფაზაში.

პირველ გამოკვევას ატარებენ 3-5 ფოთლის ფაზაში ნაკელის წუნუხის ან ფრინველის ნაკელის წყალსნარზე (1:15), 30-40 გ სუპერფოსფატის და 15-20 გ კალიუმის ქლორიდის დამატებით 10 ლ წყალზე.

სასუქების მოქმედების ეფექტურობის გამრდის მიზნით, მორწყვები ტარდება გამოკვევების წინ და მის შემდეგ.

გოგრის ყველა სახეობას ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან კიდევაც, როგორც მორფოლოგიურად, ისე ბიოლოგიური თავისებურებებით და



რჩევა ფერმერისთვის - გოგრის აგროტექნოლოგია



სამეურნეო მაჩვენებლებით.



1. ხოკერა ანუ მაგარკანიანი გოგრა;

დიდნაყოფა გოგრა (C. maxima Doch.)

დიდნაყოფა გოგრას აქვს გრძელი მხოხავი ღერო და მძლავრი, ფართოდ დატოტილი ფესვთა სისტემა. ფოთლები მომრგვალოა, თითქმის დაუნაკვთავი. ფოთლის ფირფიტა თეთრი ლაქების გარეშე ან სუსტადაა გამოხატული. ყვავილი, სხვა გოგროვნების მსგავსად გაყოფილქსქსიანი და ასიმეტრიულია.

ნაყოფი მრგვალი ან მობრტყოა, დიდი ზომის. კანი თხელია, მოთეთრო, ნაცრისფერი, რუხი, მოვარდისფრო ყვითელი, მოყვითალო-ნარინჯისფერი. თესლი რძისებრ თეთრია ან მოყვითალო, სუსტად გამოხატული არშით.

დიდნაყოფა გოგრაში სახამებელი შეადგენს ნახშირ-წყლების უდიდეს ნაწილს, მისი რაოდენობა ყველაზე მაღალია სიმწიფის წინ (წველი წონის 16-20%). სახამებლის რაოდენობა შემდგომში თანდათან კლებულობს და შენახვის პერიოდში მთლიანად ქრება. დიდნაყოფა გოგრაში დიდი რაოდენობითაა კაროტინი, რომელზედაცაა დამოკიდებული ნაყოფის ხორცის და ყვავილების ფერსა და მათი ფერის ფერი. რაც შეეხება კაროტინის კონცენტრაციას ნაყოფში, მთი უფრო ინტენსიურია რბილობის ფერი.

ზრდა-განვითარებისთვის მეტ სითბოს მოითხოვს, ვიდრე მაგარკანიანი გოგრა, ამიტომ ვრცელდება საქართველოს მეზობლების მხოლოდ პირველ და მეორე ზონაში.

ჩვენში მას უმთავრესად წმინდა სახით თესვენ კარგად განოყიერებულ ბოსტნებში და საკარმიდამო ნაკვეთებში. ეზოებში ის ხშირად მოჰყავთ ვერტიკალურად ღობეებზე, სახლის ივივნება და სახურავებზე აშვებით. გაშლილ

ადგილებში თესვენ ან რგავენ 3X1,55-2 მ-ზე ან სხვა სქემით და კვების არეზე.



2. თაფლა ანუ მუსკატური გოგრა;

მუსკატური (თაფლა) გოგრა (C. moshata Duch.)

მუსკატური გოგრას უფრო მაღალი კვებითი ღირებულება აქვს, ვიდრე დიდნაყოფას. მისი ნაყოფები მდიდარია შაქრებით - (საშუალოდ 8-10%) და კაროტინით (10-20 მგ%), მაგრამ მის გავრცელებას ხელს უშლის სითბოსადმი მაღალი მოთხოვნილება. აღნიშნულის გამო, ჩვენში გავრცელებულია ძირითადად თბილისის საგარეუბნო ზონაში (მარნეული, გარდაბანი), სადაც ცხელი და მშრალი ჰავაა.

მუსკატური გოგრის ნაყოფს აქვს 8-ის მაგვარი ფორმა. ამიტომ მას ხურჯინა გოგრასაც უწოდებენ. კანი თხელი, ყვითელი ან მოწითალო-მისაკისფერია. ხშირად ნაყოფს თავიდან აქვს მომწვანო ბადისებური ან მოლუვნიანი ნახატი, რომელიც თანდათანობით ერთმანეთს ერწყმის და ღებულობს მთლიან ჟანგმინისფერს. თესლზედ მოთავსებულია ნაყოფის ქვედა ნაწილში, ყელი მთლიანად ხორციანია (ბითუმია). თესლი წააგავს მაგარკანიანი გოგრის თესლს, ხშირად უფრო წვრილია. აქვს ოვალური ფორმა, მოთეთრო-მორუხი შეფერვა და მკვეთრად გამოხატული არშია. ითესება ან ირგვება 2-2,5X1,5-2 მ კვების არეზე.



3. დიდნაყოფა გოგრა.

მაგარკანიანი ანუ ხოკერა გოგრა (C. pepo L.)

მაგარკანიანი გოგრა გვხვდება მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთში. მისი ნაყოფი საკმაოდ მდიდარია შაქრებით და კაროტინით, მაგრამ მოსავლიანობით და რბილობის სისქით ჩამორჩება დიდნაყოფა და მუსკატურ გოგრებს.

ამ სახეობის გოგრისათვის დამახასიათებელია მაგარი კანი, რომელიც შედგება სკლერენქიმური ქსოვილისაგან. მაგარი კანი ჯავშანივით იცავს ნაყოფს მექანიკური დაზიანებისაგან, ხელს უწყობს მის ტრანსპორტაბელობას და შენახვის ხანგრძლივობას.

გარდა ნაყოფის სიმკვრივისა, დიდნაყოფა გოგრისგან განსხვავებით, ფოთლის ფირფიტა უფრო მეტადაა დანაკვეთილი და მისი ზედა ნაწილი და ყუნწი დაფარულია უხეში, მჩხვლეტავი ქაჯვებით.

ნაყოფის ზომა, ფორმა და შეფერვა სხვადასხვაგვარია. შეიძლება იყოს მრგვალი, მობრტყო, მოგრძო ცილინდრული, ელიფსური და სხვა. ზედაპირის მთელ სიგრძეზე ხშირად გასდევს სხვადასხვა სიდიდის ამონაბორცვი. შეფერვა შეიძლება ჰქონდეს ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, ჟანგმინისფერი. შეფერვა ჭრელი ან მთლიანია. თესლი საშუალო ზომისაა, ბრტყელი, ელიფსის ფორმის, გამოკვეთილი სქელი არშიით და ნისკარტით. თუმცა მაგარკანიანი გოგრის ჯიშებში გვხვდება უკანო თესლებიც, რომელთა თესლს მხოლოდ ნისკარტთან აქვთ ოდნავ გამაგრებული კანი და დანარჩენ ნაწილს კი გადაკრული აქვს მუქი თხელი, სიფრთხილი აპკი.

მაგარკანიანი გოგრის გავრცელების ვერტიკალი უფრო მაღალია, ვიდრე დიდნაყოფა და მთ უმეტეს მუსკატური გოგრის. ამიტომ ჩვენში მთიან ზონაშიც მოჰყავთ.

გარდა გამოვლილი ადგილებისა, ჩვენში ხოკერა გოგრა ხშირად მოჰყავთ სიმინდთან შეთესვით.

მოვლითი ღონისძიებები სხვა სახეობის გოგრების ანალოგიურია. მაგარკანიანი გოგრებს მიეკუთვნება აგრეთვე ყაბაყი და პატისონი.

